საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№12/17 „27“ დეკემბერი2017 წ.

შ.პ.ს. „დეველოპმენტ გრუპ“-ის
დირექტორს, ქალბატონ ელენა სოსინას.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჩიქოვანისა (№25; №27) და ჩაილურის ქუჩა №4 -ის გადაკვეთაზე დაპროექტებული კორექტირებული მრავალსართულიანი („ა“ და „ბ“ ბლოკები) საცხოვრებელი სახლის გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჩიქოვანისა (№25; №27) და ჩაილურის (№4-) ქუჩების გადაკვეთაზე, შ.პ.ს. „დეველოპმენტ გრუპ“-ის მიერ თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.17.045.022) მიმდინარეობს მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. შენობა გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობისაა. ჩიქოვანის ქუჩის გასწვრივ მისი ფასადის სიგრძე 18.5მ.-ია. ჩაილურის ქუჩის გასწვრივ 18.3მ. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებიდან გამომდინარე, შენობის საძირკვლად გამოყენებული იქნება მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა სისქით δ=65სმ. საპროექტო შენობის სართულიანობა შემდეგია:
-ერთი მიწისქვეშა სართული ავტოსადგომებისათვის სიმაღლით 3.05სმ.(ნიშნულებში (-3.05)-(±0.00მ.)
-ერთი კომერციული სართული სიმაღლით 455სმ. (ნიშნულებში ±0.00-4.55მ.)
-რვა საცხოვრებელი სართული სიმაღლით 330სმ.(ნიშნულებში 4.55÷30.95მ.).
-ტექნიკური სართული სიმაღლით 180სმ. (ნიშნულებში 30.95÷32.75მ.).

საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს I საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, ფენა №2, შემდეგი ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე	$\rho=1.81$ ტ/მ^3.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=20^0$
ხვედრითი შეჭიდულობა	$c=0.17$ კგ/სმ^2.
დეფორმაციის მოდული	$E=170$ კგ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა	$R_0=2.3$ კგ/სმ^2.

ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა, კერძოდ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სარდაფის მქონე ცხრა სართულიანი საცხოვრებელი შენობა (ახალი გენგეგმის მიხედვით „b ბლოკი"). და საპროექტო დოკუმენტაციით მოთხოვნილია ტექნიკური სართულის მოწყობა, შენობა ანტისეისმური ნაკერით არის განცალკევებული მშენებარე შენობისაგან (ახალი გენგეგმით „a ბლოკი").

საპროექტო შენობის ტერიტორიას დასავლეთიდან (საკადასტრო კოდი უცნობია) ესაზღვრება ჩიქოვანის ქუჩა №29-ში მდებარე ოთხ სართულიანი მზიდ კედლებიანი შენობა. უმცირესი მანძილი შენობამდე სინათლეში შეადგენს 0.3მ-ს.

საპროექტო შენობის ტერიტორიას ჩრდილოეთიდან (ს/კ№01.10.17.001) ესაზღვრება ჩაილურის №6-ში მდებარე ორ სართულიანი მზიდ კედლებიანი შენობა. უმცირესი მანძილი „a ბლოკი"-დან შენობამდე სინათლეში შეადგენს 9მ-ს.

შ.პ.ს. „მონოლითი" ხაზგასმით გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „დეველოპმენტ გრუპ"-ის მიერ წარმოებული საპროექტო საცხოვრებელი კორპუსის, როგორც „a"; ასევე „b ბლოკი"-ზე ტექნიკური სართულის მოწყობის და პროექტით გათვალისწინებული კორექტირებული სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას როგორც ჩაილურის ქ.№6-ში მდებარე ორ სართულიან საცხოვრებელ სახლზე აგრეთვე ჩიქოვანის ქუჩა №29-ში მდებარე ოთხ სართულიანი მზიდ კედლებიანი შენობაზე, როგორც მშენებლობის ასევე ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ჩაილურის ქ.№6-ში მდებარე ორ სართულიან საცხოვრებელ სახლთან არსებული 9მ. სიგანის ეზო, გამოყენებული იქნება სატვირთო ტრანსპორტის მიერ საშენი მასალების მოსაწოდებლად. და სამშენებლო ნაგავის გატანის მიზნით. შ.პ.ს. „მონოლითი" გაცნობებთ, რომ სატრანსპორტო ტექნიკა ეზოს ტერიტორიაზე (შესვლისა და გამოსვლის მომენტში იმოძრავებს არა უმეტეს 20კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარით, ასეთ შემთხვევაში არ

წარმოიქმნება მავნე ვიბრაციული დატვირთვები და აქედან გამომდინარე შენობებს არ მიადგება უარყოფითი ტექნიკური ზეგავლენა.

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№012-22/17 „27“ დეკემბერი 2017 წ.

შ.პ.ს. „დეველოპმენტ გრუპ“-ის
დირექტორს, ქალბატონ ელენა სოსიანას.

საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონში, ს.ჩიქოვანის (№25; №27) და ჩაილურის ქუჩა, №4-ის გადაკვეთაზე,დაპროექტებული კორექტირებული (ტექნიკური სართულის დამატებით) მრავალსართულიანი („ა“ და „ბ“ ბლოკები) საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ნაწილისათვის.

ექსპერტიზისათვის გადმოცემულია ქალაქ თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, მშენებარე, მრავალსართულიანი შენობის („ა“ და „ბ“ ბლოკების) არქიტექტურული პროექტი 180 სმ -ნი ტექნიკური სართულის დამატებით.
გადმოცემულია შემდეგი მასალა:
-პროექტის არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებული შ.პ.ს. „დეველოპმენტ გრუპ“-ის მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა "ArchiCAD"-ის გამოყენებით. (ელექტრონული ვერსია).
-პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებული შ.პ.ს. „დეველოპმენტ გრუპ"-ის მიერ ელექტრონული ელექტრონული სახაზავი პროგრამა "AutoCAD"-ის გამოყენებით. (ელექტრონული ვერსია).
-საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა. ჩატარებული, შ.პ.ს. "გენგეო"-ს მიერ.

კონსტრუქციების აღწერა. „ა" ბლოკი

ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონში, ს.ჩიქოვანის (№25; №27) და ჩაილურის ქუჩა, №4-ის გადაკვეთაზე, შ.პ.ს. „დეველოპმენტ გრუპ“-ის მიერ თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.17.045.022)

მიმდინარეობს მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის „ა“ ბლოკის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. შენობა გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობისაა. ჩიქოვანის ქუჩის გასწვრივ მისი ფასადის სიგრძე 18.5 მეტრ, ჩაილურის ქუჩის გასწვრივ 18.3 მეტრია. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებიდან გამომდინარე, შენობის საძირკვლად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა სისქით δ=70სმ. ფილის ქვეშ ეწყობა 100სმ. სისქის მდინარის ბალასტის ფენა და 10სმ. სისქის ბეტონის მომზადება კლ. B7.5.
კარკასის სვეტების განივკვეთი სიმაღლის მიხედვით იცვლება b×h=60×60-დან b×h=40×40სმ. დიაპაზონში. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები სისქით 18სმ. ±0.00მ. ნიშნულისათვის. დანარჩენ სართულებზე ფილების სისქე 16სმ.-ია. წიბოების განივი კვეთებია b×h=40×50სმ. კონსტრუქციებისათვის ბეტონის სიმტკიცის კლასი მიღებულია „B-25“ ხოლო არმატურის კლასი A500C, Ac-I.

მშენებარე („ა“ ბლოკი) შენობის სართულიანობა შემდეგია:
-ერთი მიწისქვეშა სართული ავტოსადგომებისათვის სიმაღლით 3.05სმ.(ნიშნულებში (-3.05)-(±0.00მ.)
-ერთი კომერციული - ავტოსადგომების სართული სიმაღლით 455სმ. (ნიშნულებში ±0.00-4.55მ.)
-რვა საცხოვრებელი სართული სიმაღლით 330სმ.(ნიშნულებში 4.55÷30.95მ.).
-ტექნიკური სართული სიმაღლით 180სმ. (ნიშნულებში 30.95÷32.75მ.).

საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს I საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, ფენა №2, შემდეგი ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე	$\rho=1.81$ტ/მ^3.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=20^0$
ხვედრითი შეჭიდულობა	$c=0.17$კგ/სმ^2.
დეფორმაციის მოდული	$E=170$კგ/სმ^2.
პირობითი საანგარიშო წინაღობა	$R_0=2.3$კგ/სმ^2.

შენობა გაანგარიშებულია ავტომატური საანგარიშო კომპლექსის “Лира-9.4”-ის საშუალებით
პროექტი შედგენილია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე.

კონსტრუქციების აღწერა. „ბ" ბლოკი

ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონში, ს.ჩიქოვანის (№25; №27) და ჩაილურის ქუჩა, №4-ის გადაკვეთაზე, შ.პ.ს. „დეველოპმენტ გრუპ"-ის მიერ თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.17.045.022) მიმდინარეობს მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის „ბ" ბლოკის მშენებლობა. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. შენობა გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობისაა, ჩიქოვანის ქუჩის გასწვრივ მისი ფასადის სიგრძე 11.45 მეტრია. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებიდან გამომდინარე, შენობის საძირკვლად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა სისქით δ=70სმ. ფილის ქვეშ ეწყობა 100სმ. სისქის მდინარის ბალასტის ფენა და 10სმ. სისქის ბეტონის მომზადება კლ. B7.5. კარკასის სვეტების განივკვეთი სიმაღლის მიხედვით იცვლება b×h=60×60-დან b×h=40×40სმ. დიაპაზონში. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები სისქით 18სმ. ±0.00მ. ნიშნულისათვის. დანარჩენ სართულებზე ფილების სისქე 16სმ.-ია. წიბოების განივი კვეთებია b×h=40×50სმ. კონსტრუქციებისათვის ბეტონის სიმტკიცის კლასი მიღებულია „B-25" ხოლო არმატურის კლასი A500C, Ac-I.

საპროექტო („ბ" ბლოკი) შენობის სართულიანობა შემდეგია:
-ერთი მიწისქვეშა სართული ავტოსადგომებისათვის სიმაღლით 3.05სმ.(ნიშნულებში (-3.05)-(±0.00მ.)
-ერთი სართული ავტოსადგომებისთვის სიმაღლით 455სმ. (ნიშნულებში ±0.00-4.55მ.)
-რვა საცხოვრებელი სართული სიმაღლით 330სმ.(ნიშნულებში 4.55÷30.95მ.).
-ტექნიკური სართული სიმაღლით 180სმ. (ნიშნულებში 30.95÷32.75მ.).

საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს I საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, ფენა №2, შემდეგი ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე	$\rho=1.81$ტ/მ^3.
შიდა ხახუნის კუთხე	$\varphi=20^0$
ხვედრითი შეჭიდულობა	$c=0.17$კგ/სმ^2.
დეფორმაციის მოდული	$E=170$კგ/სმ^2.

პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=2.3კგ/სმ².
შენობა გაანგარიშებულია ავტომატური საანგარიშო კომპლექსის "Лира-9.4"-ის საშუალებით
პროექტი შედგენილია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე.

დასკვნა:

საპროექტო ორგანიზაცია შ.პ.ს „დეველოპმენტ გრუპ"-ის მიერ ჩატარებულია დიდი მოცულობის სამუშაოები. პროექტი გაანგარიშებულია და შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვითმათ ბოლო ტექნიკური სართულიც, რაც უზრუნველყოფს შენობების უსაფრთხო მუშაობას საექსპლოატაციო პერიოდში მასზე მოსალოდნელი შესაძლო საანგარიშო სეისმური ზემოქმედებისას. გრაფიკული მასალა მდიდარია და იძლევა საშუალებას მაღალხარისხოვანი მშენებლობის წარმოებისათვის.

პროექტის მიმართ შენიშვნები არა გვაქვს და პროექტს რეკომენდაციას ვუწევთ განსახორციელებლად.

შ.პ.ს. "მონოლითი"-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

დიპლომი

КВ № 153475

ეს დიპლომი მიეცა მიხეილ
ივანეს ძე სავანელის
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985 წელს დაამთავრა
სრული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ხიდები და
გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„29" ივნისის გადაწყვეტილებით
ქ.ი. სავანელის მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986წ. „31" XII

სარეგისტრაციო № 4810

Грузинский кн.

ДИПЛОМ

КВ № 153475

Настоящий диплом выдан Савелидзе
Михаилу Ивановичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „29" июня 1985 г.
Савелидзе М.И.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

М. П.

Город Тбилиси „31" XII 1986 г.

Регистрационный № 4810

Московская типография Гознака, 1982.





მობილური ტელეფონი:+995 599156649.